განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალურ მონაცემთა დაცვა: სამართლებრივი მოწესრიგება და ევროპული სტანდარტი

ლალი გამყრელიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტზე საჯარო სამართლის და პოლიტიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

საჯარო სამართალი და პოლიტიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: კახაბერ გოშაძე, სამართლის დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2023

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ლალი გამყრელიძე

17.01.2024 ხელმოწერა - - - - - -

აბსტრაქტი

დემოკრატიული საზოგადოების უმთავრეს ამოსავალ წერტილად ადამინის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვა მიიჩნება. ძირითადი უფლებების, მათ შორის პერსონალური მონაცემების დაცვის ვლდებულება სახელმწიფოს უმთავრეს მოვალეობას წარმოდგენს.

პერსონალური მონაცემების დაცვა იმ ფუნდამენტურ უფლებთა ნაწილია, რომლის დაუცველობამაც შესაძლოა სხვა უფლებათა დარღვევაც გამოიწვიოს. წინამდებარე ნაშრომი ეხება დღეს არსებულ ერთ-ერთ აქტუალურ საკითხს, პერსონალური მონაცემების, ძირითადად განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დაცვის უფლებას.

კვლევაში განხილული იქნება განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების მნიშვნელობა, მისი დაცვის აუცილებლობა და პრობლემატური საკითხები არსებული ტექნოლოგიური პროგრესის ფონზე.

ნაშრომში აგრეთვე, განხილული იქნება საერთაშორისო კანონმდებლობა, საქართველოს კანონმდებლობის პარალელურად, რათა უფრო კარგად წარმოჩინდეს განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების დაცვის აუცილებლობა. კანონმდებლობის განხილვის გარდა ნაშრომში მოცემული იქნება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ის გადაწყვეტილებები, რომლებიც პერსონალური მონაცემების დაცვისთვის მნიშვნელოვან პრაქტიკას ადგენენ. აგრეთვე საქართველოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის პრაქტიკა.

ძირითადი საძიებო სიტყვები: **განსაკუთრებლული კატეგორიის პერსონალური მონაცემები, მონაცემთა დაცვა, ზეგავლენის შეფასება.**

Abstract

Protection of human rights and basic freedoms is considered the main starting point of a democratic society. Protection of basic rights, including personal data, is the main duty of the state. The protection of personal data is part of the fundamental rights, the insecurity of which may lead to the violation of other rights. This paper deals with one of the topical issues of today, the right to protect personal data, mainly special categories of data. The study will discuss the importance of a special category of personal data, the necessity of its protection and problematic issues in the background of the current technological progress. The paper will also discuss international legislation, along with Georgian legislation, in order to better demonstrate the need to protect special categories of personal data. In addition to the discussion of the legislation, the paper will include the decisions of the European Court of Human Rights, which establish important practices for the protection of personal data. See also the practice of the Georgian Personal Data Protection Service.

Key search words: **special category personal data, data protection, impact assessment**.